

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი



დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 1 სექტემბრის
ბრძანებით N04-66 დანართი N3

ცვლილება:

2017 წლის 4 სექტემბრის ბრძანება N04-70 დანართი N1

2017 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N04-81 დანართი N3

2017 წლის 9 ნოემბრის ბრძანება N04-100

დანართი N2

2017 წლის 24 ნოემბრის ბრძანება N04-111

2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება N04-112

დირექტორი

თ. ასათიანი _____

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ელექტროობა

საკონტაქტო ინფორმაცია:

▲ მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი

☎ 577 21 50 90

✉ tmkcommunitycollege@gmail.com

მცხეთა

2017

1. პროგრამის სახელწოდება : ელექტროობა/ Electricity

2. სარეგისტრაციო ნომერი: 07313-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები :

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში/Third level vocational qualification in electricity;

4. მიზანი:

ელექტროობის პროფესიული პროგრამა უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტროობაში.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები:

საბაზო განათლება;

6. დასაქმების შესაძლებლობები:

მესამე საფეხურის ელექტროობის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად:

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს:

- ელექტრიკოსი
- ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე
- შენობის ელექტრიკოსი
- მომმარაგებელ-ელექტრიკოსი
- ელექტრო-მექანიკოსი
- ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე
- განათების სისტემების მემონტაჟე
- ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე
- დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე
- ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე
- ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე
- მზის ენერჯის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე

7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

- მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი, საიდანაც ზოგად მოდულთა კრედიტების ჯამური რაოდენობაა 10 კრედიტი, დანარჩენი პროფესიული მოდულებია. სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 წელი.

ზოგადი და პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში	-	2
2	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები		1
3	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
4	საინჟინრო ხაზვა		4
5	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები		4
6	კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში		4
		ჯამი	18
მესამე საფეხურის ელექტრობის ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	უცხოური ენა	-	4
2	მეწარმეობა 1	-	2
		ჯამი	6
მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
1	ჯანმრთელობა და უსაფრთოება ელექტრობაში	-	4
2	ელექტრული ტექნოლოგია	-	4
3	ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება	-	4
4	ელექტრული მონტაჟი	-	4
5	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	-	4
6	საინჟინრო პროექტი		8

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა - სწავლის შედეგები

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში

1. გაუწიოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება;
2. გამოიყენოს ელექტრული ტექნოლოგიები, ელექტრობის წარმოების, გადაცემისა და განაწილების საშუალებები;
3. დაამონტაჟოს და შეამოწმოს განათება და ელექტრული წრედები საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
5. გამოთვალოს ფიგურათა მოცულობა, ფართობი და გამოიყენოს მონაცემთა გამოსახვის სტატისტიკური მეთოდები;
6. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
7. შექმნას და წარადგინოს პროექტი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამღვევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები და მოქმედების ვადა

- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;
- პროფესიული სტანდარტები:
 - მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ოსტატი;
 - მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალისტი;
 - დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი;
 - ელ. ამძრავისა და ელ. მომმარაგებელი დანადგარების ტექნიკოსი (1000 ვ-ს ქვემოთ);
 - მექატრონიკის ტექნიკოსი;
 - რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO-08) კოდები:
 - 7411
 - 7412
 - 7413
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

14. კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები:

სს ენერგო -პრო ჯორჯია

15. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლება

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

16. პროგრამის განხორციელების ადგილი:

მცხეთის რ-ნი სოფ. წინამძღვრიანთკარი, ძირითადი სასწავლო კორპუსის N105 და N106 აუდიტორიები

დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართი, ელექტრიკოსის სასწავლო აუდიტორია, ელექტრიკოსის სახელოსნო

17. პროგრამის ხანგძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 12 თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 15 თვე.

პროგრამის დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 - პროგრამის განმახორციელებლები

დანართი 3 – მოდული გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში

დანართი 4 – მოდული პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები

დანართი 5 – მოდული ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 6 – მოდული საინჟინრო ხაზვა

დანართი 7 – მოდული ელექტრული და ელექტრონული პრინციპები

დანართი 8 – მოდული კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში

დანართი 9 – მოდული უცხოური ენა

დანართი 10 – მოდული მეწარმეობა 1

დანართი 11 – მოდული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ელექტროობაში

დანართი 12 – მოდული ელექტრული ტექნოლოგია

დანართი 13 – მოდული ელექტრული მანქანების თვისებები და გამოყენება

დანართი 14 – მოდული ელექტრული მონტაჟი

დანართი 15 – მოდული მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის

დანართი 16 – მოდული საინჟინრო პროექტი

დანართი 17 – მოდული ქართული ენა A2

დანართი 18 - მატერიალური რესურსი